

## ჰიდრო ჯგუფის შესახებ

ჰიდრო ჯგუფი საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარების ბაზარზე 2015 წლიდან ოპერირებს. ჩვენი საქმიანობის მთავარი მიმართულებებია ამ დანადგარების



პროექტირება



მონტაჟი



შემდგომი მომსახურებები

# რა არის და რატომ გჭირდებათ ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარი

როცა კანალიზაციის ცენტრალურ მაგისტრალთან მიერთების შესაძლებლობები არ არსებობს, ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარი საკანალიზაციო ქსელის საუკეთესო ალტერნატივაა.

ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარი საკანალიზაციო ჩამდინარე წყალს ბიოლოგიურად, ბაქტერიებისა და მიკროორგანიზმების დახმარებით წმენდს, შედეგად კი, მას სუფთა, ტექნიკურ წყლად გარდაქმნის. ტექნიკურ წყალს ფერი და სუნი არ აქვს. იგი გარემოსთვის სრულიად უსაფრთხოა და შეგიძლიათ, ხელმეორედ, მაგალითად, მოსარწყავად გამოიყენოთ ან წყლის არხში გაუშვათ.

## ტექნოლოგია



# პროდუქტები

ჰიდრო ჯგუფი მომხმარებლებს სთავაზობს როგორც საყოფაცხოვრებო, ისე საწარმოო წყლის გამწმენდ დანადგარებს.

# საყოფაცხოვრებო გამწმენდი დანადგარი

გამოიყენება კერძო კოტეჯებისთვის, დასასვენებელი ან საცხოვრებელი კომპლექსებისთვის, საბავშო ბაღების, სკოლების, ამბულატორიებისთვის და ა.შ საცხოვრებელი კორპუსებისთვის, მსხვილი საწარმოო კომპანიებისთვის, აგრეთვე, პატარა ქალაქისა თუ სოფლისთვის.

## HT-0.8-8







# ტექნიკური მახასიათებლები

| | HYDROTE-0.8 | HYDROTE-1.5 | HYDROTE-3 | HYDROTE-5 | HYDROTE-8 |
|---|---|---|---|---|---|
| ადამიანების რაოდენობა | 1-4 | 5-8 | 8-16 | 16-27 | 27-44 |
| წარმადობა | 0.8მ$^3$ მდე | 0.8-1.5მ$^3$ მდე | 1.5-3მ$^3$ მდე | 3-5მ$^3$ მდე | 5-8მ$^3$ მდე |
| სიმძლავრე (კვტ) | 0.061 | 0.061 | 0.12 | 0.135 | 0.23 |

# HT-10-25









# ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲚᲔᲑᲘ:

| | HYDROTE-10 | HYDROTE-15 | HYDROTE-20 | HYDROTE-25 |
|---|---|---|---|---|
| ადამიანების რაოდენობა | 44-50 | 50-75 | 75-100 | 100-125 |
| წარმადობა | 8-10მ$^3$ მდე | 10-15მ$^3$ მდე | 15-20მ$^3$ მდე | 20-25მ$^3$ მდე |
| სიმძლავრე (კვტ) | 0.315 | 0.5 | 0.6 | 1.0 |

# ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲓᲐᲜᲐᲓᲒᲐᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲜᲢᲐᲟᲓᲔᲑᲐ:

- ინდივიდუალურ სახლებში;
- აგარაკებზე;
- საცხოვრებელ, სპორტულ
  და დასასვენებელ კომპლექსებში;
- სასტუმროებში;
- რესტორნებსა და გზისპირა კაფეებში;
- სკოლებში;
- საბავშვო ბაღებში;
- ბანაკებში;
- მცირე საწარმოებში;
- მცირე დასახლებებში.

# საყოფაცხოვრებო გამწმენდი დანადგარები 30-დან 250 მ3-მდე







# ტექნიკური მახასიათებლები:

| | HT-30 | HT-40 | HT-50 | HT-75 | HT-100 | HT-150 | HT-200 | HT-250 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ადამიანების რაოდენობა | 135-165 | 165-220 | 220-275 | 275-415 | 415-550 | 550-830 | 830-1000 | 1000-1400 |
| წარმადობა | 20-30მ$^3$ | 30-40მ$^3$ | 40-50მ$^3$ | 50-75მ$^3$ | 75-100მ$^3$ | 100-150მ$^3$ | 150-200მ$^3$ | 200-250მ$^3$ |
| სიმძლავრე (კვტ) | <3.0 | <3.0 | <4.0 | <6.0 | <8.5 | <9.0 | <10.0 | <12.0 |



# ინდუსტრიული გამწმენდი დანადგარები

## ინდუსტრიული გამწმენდი დანადგარები მონტაჟდება:

- თევზის გადამამუშავებელ ქარხნებში;
- რძის პროდუქტების მწარმოებელ ქარხნებში;
- სასმელების საწარმოებში;
- ლითონის გადამამუშავებელ ქარხნებში;
- რკინიგზის ავზების გამწმენდ კომპანიებში;
- ცხოველთა საკვების მწარმოებლებში;
- კონსერვების წარმოებაში;
- ძეხვეულის საწარმოებში;
- ხორცის გადამამუშავებელ ქარხნებში;
- ნავთობის მომპოვებელ კომპანიებში;
- ქიმიკატებისა და საღებავების საწარმოებში;
- საკვები დანამატების საწარმოებში;
- სასაკლაოებზე;
- ხის გადამამუშავებელ კომპანიებში;
- ტექსტილის საწარმოებში;
- ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელ ქარხნებში;
- ლუდსახარშ კომპანიებში;
- ხორცის საშრობ საამქროებში;
- შინაური ფრინველის ხორცის საწარმოები;
- ქაღალდის მწარმოებელ კომპანიებში;
- ფარმაცევტული პროდუქციის მწარმოებელ კომპანიებში;
- სამშენებლო მასალების მწარმოებლებში;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებში და სხვა.

# ᲬᲧᲚᲘᲡ ᲬᲛᲔᲜᲓᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ

დანადგარების მიერ წყლის წმენდის ხარისხი როგორც საქართველოს, ასევე ევროკავშირის რეგულაციებს შეესაბამება.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის, ჩამდინარე წყლებსა და მათ ხარისხზე გაზრდილი კონტროლის შემდეგ ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარები ნებისმიერი ინდუსტრიისა თუ მოსახლისთვის ერთგვარ აუცილებლობასაც წარმოადგენს.

## ᲰᲘᲓᲠᲝᲢᲔ ᲓᲐᲜᲐᲓᲒᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲛᲔᲜᲓᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ

| დასახელება | შემომავალი წყალი | გაწმენდილი წყალი |
|---|---|---|
| შეწონილი ნაწილაკები | <500 | 10-15 მგ/ლ |
| ჟბმ (ჟანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნილება) | <35 | 10-15 მგ02/ლ |
| ჟქმ (ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილება) | 200-400 | 20-40 მგ02/ლ |
| საერთო აზოტი | 40-50 | 0.5 მგ/ლ |
| ფოსფორი | 10-20 | 2.0 მგ/ლ |

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲣᲚᲘ ᲜᲝᲠᲛᲔᲑᲘ

| დასახელება | ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია ჩამდინარე წყალში |
|---|---|
| შეწონილი ნაწილაკები | 60 მგ/ლ |
| ჟბმ (ჟანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნილება) | 25 მგ02/ლ |
| ჟქმ (ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილება) | 125 მგ02/ლ |
| საერთო აზოტი | 15 მგ/ლ |
| ფოსფორი | 2.0 მგ/ლ |

# პარტნიორები

კომპანია თანამშრომლობს ევროპის წამყვან მწარმოებლებთან, რომლებსაც საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარების კუთხით მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ.

ჩვენი პარტნიორები ფლობენ ხარისხის სერტიფიკატებსა და საკუთარ დაპატენტებულ ტექნოლოგიებს.

# პროექტები

კომპანიის მიერ დანადგარები დამონტაჟებულია ქუთაისის აეროპორტში, იუსტიციის სახლებში, ლილოს ბაზრობაზე, გარდაბნისა და მარნეულის საცხოვრებელ კორპუსებში, სასტუმროებში, ათობით სკოლასა და სხვა ობიექტებზე.

# კერძო კორპუსები, მარნეული







# ძაღლსაშენი, გურჯაანის რაიონი







# ქუთაისის აეროპორტი







# მცირე ზომის საყოფაცხოვრებო გამწმენდი დანადგარები







# ლილოს ბაზრობა





# ზუგდიდის საფეხბურთო აკადემია







HYDRO GROUP

# რატომ ჰიდრო ჯგუფი

ჰიდრო ჯგუფი ნებისმიერი ინდუსტრიის მცირე თუ მასშტაბურ პროექტს ინდივიდუალურად განიხილავს, დამკვეთის საჭიროებებს კვალიფიციური გუნდის დახმარებით შეისწავლის და მათ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს არგებს. ჩვენი უპირატესობებია:

- გამწმენდის პროექტირების ინდივიდუალური მიდგომა;
- სრულყოფილი სერვისი: პროექტირება, მოსამზადებელი სამუშაოები, მონტაჟი, დანადგარის გაშვება და მომსახურება;
- დაპატენტებული და სერტიფიცირებული დანადგარები;
- ექსპლოატაცია 10-წლიანი გარანტია;
- ჰიდროტე დანადგარის დისტანციური მართვის შესაძლებლობა;
- ენერგოეფექტურობა;
- წყლის წმენდის ევროპული სტანდარტი;
- ჰიდროტე დანადგარის დახვეწილი დიზაინი;
- მრავალწლიანი გამოცდილება და 120-მდე დასრულებული პროექტი;
- ევროპული სტანდარტებით დამზადებული, ადგილობრივი წარმოების ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარი;
- დაბალი ფასი.

HYDRO GROUP



# ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარი ჰიდროტე (HT)

2020 წლიდან ჰიდრო ჯგუფი ბიოლოგიურ გამწმენდ დანადგარს ჰიდროტეს აწარმოებს, რაც პროდუქციაზე გაწეულ ხარჯს ამცირებს და მას კიდევ უფრო ხელმისაწვდომს ხდის. ჰიდროტეს წარმოებისთვის მხოლოდ ევროპული მასალები გამოიყენება და ხარისხის შესაბამისად, დანადგარების საექსპლოატაციო გარანტია 10 წელია.

ტექნოლოგია აკმაყოფილებს წყლის წმენდის ევროპულ სტანდარტებს, არის დაპატენტებული და აქვს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ISO 9001 სერტიფიკატები.





## როგორ შეარჩიოთ დანადგარი

დანადგარის შერჩევისას, უპირველესად, მისი მოცულობის დადგენაა საჭირო. ამ პროცესში კი მთავარია, იცოდეთ, რამდენ ადამიანზეა ის შენობა გათვლილი, სადაც დანადგარის დამონტაჟება გსურთ.

მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოთ როგორც მუდმივი მაცხოვრებლების რაოდენობა, ასევე მათი რიცხვი პიკური დატვირთვების დროს.

სასურველია, მრიცხველის არსებობის შემთხვევაში, წყლის ზუსტი გახარჯული კუბადურაც წარმოადგინოთ.

## ჩვენ გვენდობიან

GFF

HEIDELBERGCEMENT

ლილო მოლი LILO MALL

MOUNTAIN RESORTS SOLUTIONS

INSI CONSTRUCTION

CSCEC

GWS

CRTG

MDF